INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

სსიპ – საქართველოს შსს აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.policeacademy.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 7 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს შსს აკადემია

www.policeacademy.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
33,33%
58,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
37,50%
52,17%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
0,00%
0,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
25,93%
43,86%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
42,86%
40,11%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
33,25%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
80,00%
33,75%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

საქართველოს შსს აკადემიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ინფორმაცია რექტორის შესახებ შემოიფარგლება მხოლოდ მისი სახელითა და გვარით. არ არის მოცემული მისი ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე მისი კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან რექტორს. რექტორის სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერიც არ არის სახეზე. არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება - „რექტორი“.

2. ინფორმაცია პრორექტორის შესახებ საგრძნობლად ნაკლულია: კანონმდებლობით განსაზღვრული სამი პრორექტორისაგან ინფორმაცია მოიძიება მხოლოდ ორის შესახებ. ამასთან, ერთი პრორექტორის შესახებ ინფორმაცია შემოიფარგლება სახელით, გვარით და ბიოგრაფიული მონაცემებით, ხოლო მეორე პრორექტორის შესახებ ინფორმაცია - მხოლოდ სახელითა და გვარით. არც ერთ შემთხვევაში არ არის მოცემული პრორექტორების ფოტოსურათები, მათი საკურატორო სფეროების აღწერა, მათი სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება - „პრორექტორები“.

3. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აკადემიის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია“, ხოლო შემოკლებით „სსიპ –საქართველოს შსს აკადემია“. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით არც ერთი ზემოთხსენებული დასახელება, ამასთან არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა.

4. არ მოიძიება საქართველოს შსს აკადემიის სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). აგრეთვე, უშუალოდ აკადემიის ელ.ფოსტა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა:



საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

6. არ მოიძიება საქართველოს შსს აკადემიის ფუნქციების, მიზნებისა და ამოცანების აღწერა.

7. არ მოიძიება საქართველოს შსს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა, მათი სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, საქართველოს შსს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები:



ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

8. არ მოიძიება რექტორისა და პრორექტორების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები.

9. არ მოიძიება საქართველოს შსს აკადემიის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიში. აგრეთვე არ მოიძიება აკადემიის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და შესაბამისი პროგნოზები.

10. ვებ-გვერდზე განთავსებული საქართველოს შსს აკადემიის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია არის საკმაოდ მწირი და მოძველებული.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ. მართალია არსებობს განყოფილება „პროგრამები“, თუმცა მისი ინფორმაციული შიგთავსი მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სასწავლო გეგმებს და არა ინფორმაციას იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების შესახებ. რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია:



სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

12. განყოფილებაში „კანონმდებლობა“ უმეტესობა სამართლებრივი აქტებისა მოცემულია მოძველებული მდგომარეობით, ამასთან სამი სამართლებრივი აქტის ბმული არ იხსნება:

14. კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

15. კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

16. კანონი იარაღის შესახებ

17. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება

18. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულება

19. ინსტრუქცია შსს ტერიოტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ

20. ინსტრუქცია შსს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების შესახებ

21. კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

22. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის ფორმები, შევსების წესი

23. საგადასახადო კოდექსი

24. მთავრობის დადგენილება საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ფორმების შესახებ

25. ინსტრუქცია საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ

26. ინსტრუქცია გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

27. ინსტრუქცია საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ

28. ინსტრუქცია საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ

29. მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესი

30. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)

საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

13. არ მოიძიება ტენდერების არქივი, აგრეთვე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს შსს აკადემიასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე საქართველოს შსს აკადემიასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები:



საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

14. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ვაკანსიების არქივი:



საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

15. ინფორმაცია საქართველოს შსს აკადემიის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია,საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და საქართველოს შსს აკადემიაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

16. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს შსს აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- საქართველოს შსს აკადემიისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება აკადემიის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/აკადემიის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება აკადემიის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ აკადემიისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
31,25%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
75,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
42,11%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

1. მარტივად აღქმის კრიტერიუმები

http://policeacademy.ge/index.php?page=snews&type=1&show=bycal&daynum=03&monthnum=06
მოცემულ ბმულზე სადაც ინფორმაცია არ დევს ან არ არის სრულყოფილი საჭიროა შესაბამისი ტექსტის დაწერა

http://policeacademy.ge/index.php?page=scont&id=114

ინგლისურ ვერსიაში ქართული ტექსტებია



Firefox-ში ინგლისურ ვერსიაში მენიუზე მაუსის მიტანისას ზედა მხარეს არ ეჭირება, მაგალითად Learning-ზე

ლინკის გავრცელების და გაზიარების დროს არ ინარჩუნებს ინგლისური ენის ცვლადს, შედეგად საიტი ნახევრად ქართულია ნახევრად ინგლისური. საჭიროა GET პარამეტრში ამ ცვლადის შენახვა http://policeacademy.ge/index.php?page=readmore&id=226



2. საკონტაქტო ფორმები და წესები

მთავარი საკონტაქტო ელ ფოსტა ვერ მოიძებნა, აუცილებელია მიეთითოს მთავარი ელ ფოსტა ფორმატით: info@policeacademy.gov.ge

3. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

მენიუში გამოყენებულია სურათები, „მაუსის" მიტანის დროს ახალი სურათი უნდა ჩაიტვირთოს რომ მივიღოთ „მაუსის" მიტანის ეფექტი, ამ დროს ახალი სურათის ჩატვირთვა აგვიანებს და შედეგად მენიუ ხტუნაობს.

საჭიროა მენიუს სურათების წინასწარ ჩატვირთვა (პრობლემა გამოიკვეთა OPERA-ში) სურათები არის კოდით დაპატარავებული, რაც ძალიან უშლის საიტის ჩატვირთვას ხელს. საჭიროა შესაბამის ზომებზე დაჭრა.



ინგლისურ ვერსიაში დაფიქსირებულია უხეში შეცდომა:

აუცილებელია ასეთი შეცდომების გასწორება, თუ ეს პრობლემა ვერ სწორდება აუცილებლად უნდა დაიმალოს PHP-ში სიმბოლო @-ის დახმარებით

4. **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

Facebook-ზე პოლიციის აკადემიის გვერდი დაფიქსირებულია, მაგრამ საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან გადასასვლელი ლინკი ან ბანერი ვერ მოიძებნა. აუცილებელია მათი ერთმანეთთან დაკავშირება.

5. **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე დაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომა, (Sql Injection) საიდანაც მარტივად ხდება ვებ-გვერდში უკანონო შეღწევა. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ არ დავწერთ ამ ტექნიკური გაუმართაობის აღწერას. თუმცა, თუ აკადემიის შესაბიმისი წარმომადგენლები გამოთქვამენ სურვილს, მათ მივაწვდით მეტ ინფორმაციას აღნიშნული ხარვეზის შესახებ.